EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

(განაცხადი N 23452/94)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

28 ოქტომბერი, 1998 წ.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

განაცხადი N 23452/94, 28 ოქტომბერი, 1998 წ. [დიდი პალატა]

მე-2 მუხლი (პოზიტიური ვალდებულებები)

სახელმწიფო ორგანოების მიერ პირველი განმცხადებლის მეუღლის და მეორე განმცხადებლის სიცოცხლის უფლების დაცვის სავარაუდოდ ვერ უზრუნველყოფა ინდივიდის მხრიდან მომდინარე საფრთხესთან მიმართებით: დარღვევა არ დადგინდა.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლები არიან ბრიტანეთის მოქალაქეები - მულკიე ოსმანი, ბატონი ალი ოსმანის მეუღლე (ქვრივი) და მათი შვილი - აჰმეტ ოსმანი. 1988 წლის 7 მარტს ბატონმა პოლ პაგეტ-ლუისმა, რომელიც აჰმეტ ოსმანის ყოფილი მასწავლებელი იყო, ალი ოსმანი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა. ამავე ინციდენტის დრო დაიჭრა აჰმეტ ოსმანიც.

აჰმეტ ოსმანის მიმართ მასწავლებლის განსაკუთრებული მიჯაჭვულობა სკოლის უფროსმა მასწავლებელმა ჯერ კიდევ 1986 წელს შეამჩნია, რის შემდეგაც მასწავლებელი სკოლიდან წასვლას აპირებდა, თუმცა, საბოლოოდ, გადააფიქრებინეს. 1987 წლის იანვარში, ამავე სკოლის სხვა მოსწავლის, ლესლი გრინის დედამ შეატყობინა უფროს მასწავლებელს, რომ პაგეტ-ლუისი მის შვილს სკოლის შემდეგ სახლისკენ მიმავლ გზაზე მიჰყვებოდა და ბიჭს ავიწროებდა. მშობლის ინფორმაციით, პაგეტ-ლუისი ჭორებს ავრცელებდა მის შვილსა და აჰმეტ ოსმანს შორის სექსუალური ხასიათის კავშირის შესახებ და ეწინააღმდეგებოდა მათ მეგობრობას.

ქალბატონი გრინის ოფიციალური საჩივრის საფუძველზე უფროსი მასწავლებელი (ბატონი პერკინსი) გაესაუბრა როგორც პაგეტ-ლუისს, ასევე - აჰმეტ ოსმანს და ლესლი გრინს. მოსწავლეებმა დაადასტურეს პაგეტ-ლუისის მხრიდან შევიწროების ფაქტები. თავად პაგეტ-ლუისმა აღიარა, რომ სახლისკენ გაჰყვა ლესლი გრინს და 45 წუთის განმავლობაში იცდიდა მისი მშობლების სახლთან, ასევე, მან ლესლი გააფრთხილა, რომ „ძალიან გაბრაზდებოდა“, თუკი ის პაგეტ-ლუისსა და აჰმეტ ოსმანს შორის ურთიერთობაში ჩაერეოდა (თუმცა, უფროს მასწავლებელთან განმარტა, რომ ეს მუქარა არ იყო). ლესლი გრინის დედის საჩივრის საპასუხოდ პოლ პაგეტ-ლუისმა წერილობითი განცხადება წარუდგინა უფროს მასწავლებელს რომელიც, პერკინსის შეფასებით, იყო „შემაშფოთებელი“ და ცალსახად მიუთითებდა, რომ მასწავლებელი „უკიდურესად ეჭვიანობდა“ აჰმეტის და ლესლის მეგობრობაზე და „ვერ აკონტროლებდა საკუთარ ემოციებს“.

გასაუბრების და მოვლენათა განვითარების შესახებ უფროსმა მასწავლებელმა მოახსენა სკოლის დირექტორს. დირექტორთან შეხვედრისას პაგეტ-ლუისმა აღიარა, რომ ლესლის მიერ აჰმეტსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის თაობაზე გავრცელებული ჭორების გამო შურისძიების მიზნით, თავად მოსწავლეებში ავრცელებდა ჭორებს, რომ აჰმეტსა და ლესლის გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი ჰქონდათ.

1987 წლის 16 მარტს სკოლის დირექტორმა ლესლი გრინისგან და მისი დედისგან შეიტყო, რომ პაგეტ-ლუისი უთვალთვალებდა აჰმეტ ოსმანს და მას უთხრა, რომ იცოდა აჰმეტის დედის სამუშაო ადგილი, ისიც - თუ რამდენს გამოიმუშავებდა ის და რომ სკოლიდან წასვლის შემთხვევაში, აჰმეტს მაინც მიაგნებდა. ეს ფაქტი ერთ-ერთ მასწავლებელთან აჰმეტმაც დაადასტურა.

1987 წლის 17 მარტს სკოლის დირექტორმა ოსმანების ოჯახს შეატყობინა აჰმეტის მიმართ პაგეტ-ლუისის განსაკუთრებული ინტერესის შესახებ. ამავე დღეს, სკოლის მახლობლად 6 ადგილას გაჩნდა გრაფიტი, რომელიც ლესლის და აჰმეტს შორის სქესობრივ კავშირს ეხებოდა. პაგეტ-ლუისმა უარყო გრაფიტებთან კავშირის ქონა, თუმცა იცოდა ზუსტი ფორმულირება და ყველა ლოკაცია. ორი დღის შემდეგ ოსმანების ოჯახმა დაიწყო მოლაპარაკება აჰმეტის სხვა სკოლაში გადაყვანის თაობაზე. სკოლის დირექტორმა აჰმეტს სთხოვა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, არავისთვის გაემხილა ახალი სკოლის მისამართი. მოსწავლის გადაყვანის შესახებ დოკუმენტების მოწესრიგებისას აღმოჩნდა, რომ აჰმეტთან და ლესლისთან დაკავშირებული მასალები (დოკუმენტები) და დასაქმებულ პირთა წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების ფარგლებში მომზადებული დოკუმენტები მოპარული იყო. პაგეტ-ლუისმა უარყო ყოველგვარი კავშირის ქონა დაკარგულ ფაილებთან. 23 მარტს აჰმეტი სხვა სკოლაში გადაიყვანეს, თუმცა სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული სირთულეების გამო 14 დღეში ის ძველ სკოლას დაუბრუნდა.

1987 წლის 14 აპრილს პაგეტ-ლუისმა შეიცვალა სახელი და გვარი და გახდა პოლ აჰმეტ ილდიმირ ოსმანი. სკოლის დირექტორმა პაგეტ-ლუისის სავარაუდო ფსიქოლოგიური პრობლემების და აჰმეტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე ლონდონის საგანმანათლებლო დაწესებულებას (Inner London Education Authority (ILEA)) შეატყობინა.

პაგეტ-ლუისს შეხვდა ILEA-ის ფსიქიატრი, რომელმაც საეჭვოდ მიიჩნია მასწავლებლის აჰმეტთან მეგობრობა და დაასკვნა, რომ პაგეტ-ლუისს შეეძლო სკოლაში მუშაობის გაგრძელება ფსიქიატრთან შეხვედრების და ფსიქოთერაპიის პარალელურად.

1987 წლის 21 მაისს განმცხადებლების სახლს აგური ესროლეს, ივნისში კი ალი ოსმანის მანქანის საბურავები ორჯერ დაჭრეს. ივნისში პაგეტ-ლუისმა აიღო შვებულება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და აღარ დაბრუნებულა სკოლაში. ფსიქიატრის დასკვნით კი, მასწავლებელს ჰქონდა აჰმეტთან საუბრის მოთხოვნილება და მასში ბრაზს იწვევდა აჰმეტის პასიურობა და ბიჭის ნეიტრალური დამოკიდებულება კონტაქტის არქონასთან დაკავშირებით; ამასთან, სამედიცინო დასკვნის თანახმად, რეკომენდებული იყო, რომ პაგეტ-ლუისს შეეწყვიტა ჰომერტონ ჰაუზის სკოლაში სწავლება.

1987 წლის აგვისტოში ILEA-მა მკაცრი საყვედური გამოუცხადა პაგეტ-ლუისს და აუკრძალა ჰომერტონ ჰაუზში დაბრუნება, თუმცა მალევე პაგეტ-ლუისმა ორ სხვა ადგილობრივ სკოლაში დაიწყო მუშაობა შემცვლელ (სარეზერვო) მასწავლებლად.

1987 წლის სექტემბერში ოსმანების სახლთან არაერთი ინციდენტი დაფიქსირდა - სახლს საინჟინრო ზეთის და პარაფინის ნაერთი მიასხეს, ოქტომბერში ალი ოსმანის მანქანის საქარე

მინა ჩაამსხვრიეს, კარის საკეტს წებო დაასხეს და ა.შ. პაგეტ-ლუისი უარყოფდა ამ ინციდენტებთან კავშირს.

1987 წლის 7 დეკემბერს ავტომობილი, რომელსაც პაგეტ-ლუისის მართავდა, დაეჯახა ავტომობილს, რომლითაც ლესლი გრინი გადაადგილდებოდა. პაგეტ-ლუისმა შემთხვევა აქსელერატორის გაჭედვას დააბრალა. პაგეტ-ლუისმა ვერ წარმოადგინა ავტომობილის ტექნიკური გამართულობის მოწმობა, რის გამოც პოლიციისგან გაფრთხილება მიიღო. ILEA-ის 1987 წლის 8 დეკემბრით დათარიღებულ მემორანდუმში მითითებული იყო, რომ ოსმანების და გრინების ოჯახებს პოლიცია დაიცავდა.

მომდევნო დღეს, პოლიციის ოფიცერმა გამოკითხა ლესლი გრინი და დედამისი. ლესლის განცხადებით, პაგეტ-ლუისი მას დაემუქრა, რომ „გამოიჭერდა“ იმის მიუხედავად, ამას 30 დღე დასჭირდებოდა თუ 30 წელი. არასრულწლოვანი შეშინებული იყო და ორი კვირის განმავლობაში სკოლაშიც არ დადიოდა. 15 დეკემბერს პოლიციის ოფიცერი ესაუბრა ოსმანებსაც. განმცხადებლების მტკიცებით, პოლიციის სერჟანტმა მათ განუცხადა, რომ იცოდა პაგეტ-ლუისის ვანდალური აქტების შესახებ და რომ უზრუნველყოფდა ოჯახის უსაფრთხოებას. ამას უარყოფს მოპასუხე სახელმწიფო, რამდენადაც ოფიციალურ დოკუმენტებში მითითებული იყო, რომ ყველას ეჭვი პაგეტ-ლუისზე ჰქონდა, თუმცა არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები.

ამავე დღეს პაგეტ-ლუისმა მოითხოვა ILEA-ის წარმომადგენლებთან შეხვედრა და განაცხადა, რომ ეს ყველაფერი სიმფონიის ნაწილი იყო და საბოლოო აკორდი უნდა გაეჟღერებინა. პაგეტ-ლუისი სკოლის უფროს მასწავლებელს ადანაშაულებდა ყველაფერში, თუმცა ამბობდა, რომ არ მოაწყობდა ჰანგერფორდს (1987 წელს, ჰანგერფორდში, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა პირმა 16 პირი მოკლა და თავი მოიკლა), თუმცა მას პირადად ნახავდა. ILEA-მა პოლიციის დეტექტივს დეტალური შეტყობინება დაუტოვა, რადგან ტელეფონით დაკავშირება ვერ მოხერხდა. უფროსი მასწავლებლის (პერკინსის) სახლთან გაიგზავნა პოლიციის ეკიპაჟი.

17 დეკემბერს ზემოაღნიშნულმა დეტექტივმა და პოლიციის სხვა ოფიცრებმა პაგეტ-ლუისს საცხოვრებელ სახლში მიაკითხეს, დაკავების მიზნით, თუმცა ის ადგილზე არ დახვდათ. მომდევნო დღეს მას გაუგზავნეს შეტყობინება, რომ დაკავშირებოდა დეტექტივს, თუმცა პაგეტ-ლუისი აღარ გამოჩენილა.

1988 წლის იანვარში დაიწყო პაგეტ-ლუისის ძებნა საგზაო ინციდენტის და ქონების სავარაუდო დაზიანების გამო. იანვარი-მარტის პერიოდში პაგეტ-ლუისი გადაადგილდებოდა ინგლისში, ქირაობდა მანქანებს და გარკვეულ დროს ატარებდა სახლში, სადაც ფოსტას იღებდა. 17 იანვარს, იორკშირში მან გაიტაცა მანქანა და ცეცხლსასროლი იარაღი. შემთხვევა ვერ დაუკავშირეს პაგეტ-ლუისს. 1, 4 და 5 მარტს, პაგეტ-ლუისი ლესლი გრინმა შენიშნა ოსმანების სახლთან. ქალბატონმა გრინმა უშედეგოდ სცადა დეტექტივთან დაკავშირება. 1988 წლის 7 მარტს პაგეტ-ლუისი რამდენიმე ადამიანმა დაინახა ოსმანების სახლის წინ, მან სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ალი ოსმანს და მძიმედ დაჭრა აჰმეტ ოსმანი. მომდევნო

დილით დაკავებისას მან განაცხადა: „რატომ მანამდე არ შემაჩერეთ, მე ხომ გამაფრთხილებელი ნიშნები მოგეცით?“.

1988 წლის 28 ოქტომბერს პაგეტ-ლუისი სასამართლომ დამნაშავედ ცნო მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში.

განმცხადებლების მტკიცებით, სახელმწიფო ორგანოებმა არ გაატარა ადეკვატური და სათანადო ზომები მეორე განმცხადებლის და ალი ოსმანის სიცოცხლის დასაცავად რეალური და ცნობილი საფრთხის წინაშე, რომელსაც პაგეტ-ლუისი წარმოადგენდა. შესაბამისად, განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება. სახელმწიფო კი მიუთითებდა, რომ საქმის მასალები არ მოწმობდა მე-2 მუხლის დარღვევას.

სამართლებრივი შეფასება

კონვენციის მე-2 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, მიიღოს სათანადო ზომები მის იურისდიქციაში მყოფ პირთა სიცოცხლის დასაცავად (*L.C.B. v. the United Kingdom* judgment of 9 June 1998, Reports of Judgments and Decisions 1998-III, p. 1403, § 36). ამ კუთხით სახელმწიფოს ვალდებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი პირველადი მოვალეობა, დაიცვას სიცოცხლის უფლება ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი ნორმების დამკვიდრებით, რომლებიც შეაკავებს ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს და აღჭურვილი იქნება ამავე ნორმების დარღვევის პრევენციის, აღმოფხვრის და დასჯის აღმასრულებელი მექანიზმებით. შესაბამისად, კონკრეტულ, ნათლად დადგენილ გარემოებებში, პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარებას იმ პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლეც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა სხვა ინდივიდის დასჯადი ქმედების გამო. სწორედ ამ ვალდებულების ფარგლები წარმოადგენს მოცემული დავის საგანს.

ადამიანის ქმედების რთული განჭვრეტადობის და პრიორიტეტების და რესურსების თაობაზე მიღებული ოპერატიული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება იმგვარად არ უნდა განიმარტოს, რომ სახელმწიფო ორგანოებს დააკისროს შეუსრულებელი ან არაპროპორციული ტვირთი. შესაბამისად, სიცოცხლისთვის შექმნილი ყოველი საფრთხე არ იწვევს სახელმწიფო ორგანოებისთვის კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნის გააქტიურებას, რომელიც გულისხმობს ოპერატიული ღონისძიებების გატარებას საფრთხის მატერიალიზაციის პრევენციის მიზნით. კიდევ ერთი რელევანტური ფაქტორი არის საჭიროება იმისა, რომ პოლიციამ დანაშაულის კონტროლის და პრევენციის უფლებამოსილება განახორციელოს სათანადო პროცედურის და სხვა გარანტიების სრული პატივისცემის ფონზე, რაც ლეგიტიმურად ზღუდავს პოლიციის ქმედების ფარგლებს დანაშაულის გამოძიებისას და დამნაშავის მართლმსაჯულების წინაშე წარდგენისას (მათ შორის, კონვენციის მე-5 და მე-8 მუხლებით განმტკიცებული გარანტიები).

„116. ... ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც საჩივარი ეხება სახელმწიფო ორგანოების მიერ სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების დარღვევას დანაშაულის პრევენციის და აღმოფხვრის ზემოხსენებული ვალდებულების კონტექსტში, სასამართლოს

წინაშე უნდა დამტკიცდეს, რომ სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა ინფორმაცია მოცემულ დროს რეალური და უშუალო (მყისიერი) საფრთხის არსებობის შესახებ იდენტიფიცირებული პირის ან პირების სიცოცხლის მიმართ, რომელიც მომდინარეობს მესამე პირის დანაშაულებრივი ქმედებიდან; და უფლებამოსილების ფარგლებში მათ არ/ვერ გაატარეს ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც, გონივრული განსჯის პირობებში, მოსალოდნელი იქნებოდა საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ევროპული სასამართლო არ იზიარებს მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სიცოცხლისთვის შექმნილი რისკის შეუფასებლობა იმ დროისათვის ცნობილ გარემოებებში უნდა უტოლდებოდეს აშკარა გაუფრთხილებლობას ან სიცოცხლის დაცვის ვალდებულების განზრახ უგულებელყოფას. ასეთი ხისტი სტანდარტი არ შეესაბამება კონვენციის პირველი მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის საფუძველზე ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, უზრუნველყონ კონვენციით განმტკიცებული უფლებების და თავისუფლებების პრაქტიკული და ეფექტიანი დაცვა (იხ. *mutatis mutandis*, McCann and Others judgment, p. 45, § 146). ევროპული სასამართლოსთვის, მე-2 მუხლით დაცული უფლების ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც კონვენციის სისტემაში ფუნდამენტურია, საკმარისია, განმცხადებელმა აჩვენოს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა არ გააკეთეს ყველაფერი, რის გაკეთებაც მათგან გონივრულად იყო მოსალოდნელი რეალური და მყისიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესახებ ინფორმაციაც მათ ჰქონდათ ან უნდა ჰქონოდათ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ კონკრეტული საქმის ყველა გარემოების ჭრილში შეიძლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო განიხილავს მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებებს.“

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აჰმეტ ოსმანის მიმართ პაგეტ-ლუისის შემაშფოთებელი მიჯაჭვულობის შესახებ სკოლამ პოლიციას აცნობა 1987 წლის მაისში გამართული ხუთი შეხვედრის ფარგლებში. პოლიცია ინფორმირებული იყო ყველა რელევანტური საკითხის თაობაზე (გრაფიტის ეპიზოდი, დოკუმენტების მოპარვა, პაგეტ-ლუისის მიერ სახელის შეცვლა). ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლების პოზიცია იმის თაობაზე, რომ პოლიციას უნდა დაეწყო გამოძიება გრაფიტის და დოკუმენტების მოპარვის ეპიზოდებში პაგეტ-ლუისის მონაწილეობის შესახებ, ასევე მისი ობსესიური ხასიათის ქცევების გამო. სასამართლო არ მიიჩნევს, რომ პოლიციის მხრიდან ამგვარი ქმედებების განუხორციელებლობა, იმ დროისთვის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, წარმოადგენდა მე-2 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებს პაგეტ-ლუისის დამოკიდებულება შეიძლება შეეფასებინათ პროფესიული თვალთახედვით ყველაზე დასაგმობ ქცევად, არ ყოფილა რაიმე მითითება იმაზე, რომ აჰმეტ ოსმანის ხელშეუხებლობა ან სიცოცხლე იდგა საფრთხის წინაშე. გრაფიტის ეპიზოდში პაგეტ-ლუისის ჩართულობაზე მხოლოდ უფროსი მასწავლებელი (პერკინსი) მიუთითებდა, თუმცა თავად პაგეტ-ლუისმა ყველაფერი უარყო. შესაბამისად, ამ კუთხით, არაფერია არაგონივრული იმაში, რომ პოლიციამ ეს ეპიზოდი სკოლის შიდა საკითხად შეაფასა.

განმცხადებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პაგეტ-ლუისის ფსიქიკურ მდგომარეობას და შესაძლებლობას, რომ ძალადობრივი ქმედებები აჰმეტ ოსმანის წინააღმდეგ მიემართა. თუმცა ფსიქიატრის სამი დასკვნა ადასტურებდა, რომ ის ფსიქიკურად დაავადებული არ ყოფილა. სასამართლოს შეფასებით, ყველაზე ნაკლებ სავარაუდოა, რომ მასწავლებელს სწავლების პროცესის გაგრძელების საშუალება მიეცემოდა, თუკი იარსებებდა სულ მცირე რისკი, რომ ის საფრთხეს წარმოადგენდა მოსწავლეების უსაფრთხოებისთვის. რაც შეეხება ფსიქიატრიული დასკვნის სისწორეს, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ დასკვნები მომზადდა ფსიქიატრთან სამი შეხვედრის საფუძველზე: პროფესიონალმა ფსიქიატრმა ჩათვალა, რომ პაგეტ-ლუისი არ ავლენდა ფსიქიკური დაავადების ან ძალადობისკენ მიდრეკილების სულ მცირე ნიშნებსაც კი, შესაბამისად, არაგონივრული იქნებოდა მოლოდინის შექმნა იმის თაობაზე, რომ სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე პოლიცია მას მაინც მიიჩნევდა მენტალური პრობლემების მქონე და განსაკუთრებით საშიშ პირად.

პოლიციის ინფორმირებულობის დონის შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ვანდალიზმის აქტების სერია, რომელთაგან არცერთი არ იყო სიცოცხლისთვის საშიში ხასიათის და ამასთან, არ იკვეთებოდა ამ ქმედებებთან პაგეტ-ლუისის კავშირი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროპული სასამართლო გაიზიარებს განმცხადებლების პოზიციას იმის შესახებ, რომ პოლიციის დეტექტივი სათანადოდ არ აღნუსხვადა ვანდალიზმის ფაქტებს და ILEA-ის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, ამ ფაქტორს ხელი არ შეუშლია ადრეულ ეტაპებზე ოსმანების ოჯახის მიმართ რაიმე საფრთხის არსებობის დადგენისთვის. ამასთან, პაგეტ-ლუისის დაკავების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არა ოსმანების სიცოცხლისთვის შექმნილი საფრთხის, არამედ მცირე მნიშვნელობის სისხლისსამართლებრივი ზიანის მომტან ქმედებებში ჩართულობის გამო.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პაგეტ-ლუისის განცხადებებზე, რომლებიც, მომჩივანთა მტკიცებით, მოწმობდა მის განზრახვას. თუმცა, ევროსასამართლოს შეფასებით, განცხადებებიდან არ იკვეთებოდა, რომ ოსმანების ოჯახი იყო მისი მუქარის სამიზნე. ჰანგერფორდზე აპელირების ნაწილში კი სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ამ ფრაზის განმცხადებლებისთვის ყველაზე ხელსაყრელი განმარტების შემთხვევაშიც კი ცხადია, რომ პაგეტ-ლუისის სამიზნე უფროსი მასწავლებელი პერკინსი იყო. ავტოსაგზაო შემთხვევის კონტექსტში კი, პაგეტ-ლუისის მტრული ქმედება მიმართული იყო ლესლი გრინის, და არა - ოსმანების წინააღმდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, პაგეტ-ლუისის დაშიფრული მუქარები გონივრულად ვერ ჩაითვლება ოსმანების ოჯახის წევრების სიცოცხლისთვის საშიშ მუქარად.

ევროპული სასამართლოს ხედვით, განმცხადებლებმა ვერ დაამტკიცეს, რომ მოვლენათა ჯაჭვის რომელიმე ეტაპზე პოლიციას ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოსმანების ოჯახის წევრების სიცოცხლე იდგა პაგეტ-ლუისისგან მომდინარე რეალური და მყისიერი საფრთხის წინაშე. მიუხედავად განმცხადებლების მიერ მითითებული ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებისა, რომლებიც პოლიციას მისცემდა პაგეტ-ლუისის წინააღმდეგ მტკიცებულებების მოპოვების საშუალებას (მისი სახლის ჩხრეკა, იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა, მისი გაუჩინარების დროს აქტიური საგამოძიებო

მოქმედებების ჩატარება და ა.შ.), ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, გონივრული განსჯის პირობებში, მას მსჯავრი დაედებოდა ან ფსიქიატრიულ კლინიკაში განთავსდებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, მოვალეობების შესრულებისას პოლიციამ პატივი უნდა სცეს პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. მოცემულ გარემოებებში, პოლიციას ვერ გავაკრიტიკებთ უდანაშაულობის პრეზუმფციისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების გამო, პირის დაკავების უფლებამოსილების გამოუყენებლობის ან ჩხრეკა-ამოღების განუხორციელებლობის გამო, რამდენადაც რელევანტურ დროს საქმე ვერ აკმაყოფილებდა ეჭვის სტანდარტს ან გამოყენებული ღონისძიებები ვერ გამოიღებდა კონკრეტულ შედეგებს.

შედეგი: ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.